საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №52

2020 წლის 18 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 დეკემბრის №963 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 დეკემბრის №963 ბრძანებულებაში (www.matsne.gov.ge, 19.12.2013, 010210040.08.002.016900) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3. ადმინისტრაციის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილებები დელეგირების უფლებით გადაეცეს მის მიერ განსაზღვრულ პირს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანებულება ამოქმედდეს 2020 წლის 18 თებერვლიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**